# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 311

„20" ოქტომბერი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, საქნავთობის დასახლებაში, ჭირნახულის ქუჩაზე (ნაკვეთი №02/008 საკადასტრო კოდი: №01.19.14.002.008 ) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, საქნავთობის დასახლებაში, ჭირნახულის ქუჩაზე (ნაკვეთი №02/008, საკადასტრო კოდი: №01.19.14.002.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 სექტემბრის №20.1136.1415 განკარგულების დანართი N1 გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, საქნავთობის დასახლებაში, ჭირნახულის ქუჩაზე (ნაკვეთი №02/008, საკადასტრო კოდი: №01.19.14.002.008) მდებარე უძრავი ქონების ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე                    გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

ქალაქ თბილისი, საქნავთობის დასახლება, ჭირნახულის ქუჩა (ნაკვეთი N02/008, საკადასტრო კოდი: N01.19.14.002.008)

| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | სართული, დაკავებული ბინი ნომერი | ფაქტობრივად დაკავებული ფართი | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გველესიანი | 01028004272 | სართული 1 | 37.56 კვ.მ | 01.19.14.002.008.01.502 |
| 2 | შაქრო ტყემალაძე | 01028006506 | სართული 1 | 55.88 კვ.მ | 01.19.14.002.008.01.503 |
| 3 | მზია ღონიაშვილი | 01027042688 | სართული 1 | 22.48 კვ.მ | 01.19.14.002.008.01.504 |
| 4 | ნატო ტაბია | 02001017431 | სართული 1 | 21.18 კვ.მ | 01.19.14.002.008.01.500 |
| 5 | ნონა ფრანგიშვილი | 01028005344 | სართული 1 | 27.91 კვ.მ | 01.19.14.002.008.01.501 |